

საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემია

საქართველოს საისტორიო  
საზოგადოება

ირაკლი აბაშიძე  
საქართველოს საისტორიო  
საზოგადოებაში

„მეცნიერება“  
თბილისი  
1981



საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ (თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია) 1980 წლის 31 ოქტომბერს შეხვედრა მოუწყო პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს. აქ გამოცხადდა მისი საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის შესახებ. ი. აბაშიძემ შეასრულა საპატიო წევრის რიტუალი — ღია ცის ქვეშ მუზეუმის ერთ-ერთ კუთხეში დარგო მუხა.  
წინამდებარე კრებულში დაბეჭდილია ქართველ მეცნიერთა მისალმებები ძვირფასი სტუმრისადმი.

რედაქტორი

რ. ო. ნ. მ. ბ. რ. ე. ლ. ი.

10604

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

M607(06) — 81

## გორბი ჩიტაია

### შსსაგალი სიტყვა

დიდად პატივცემულო ბატონო ირაკლი! ნება მიბოძეთ საქართველოს საისტორიო საზოგადოების 9000 წევრიანი კოლექტივისა და ღიაციხეში მუზეუმის თანამშრომელთა სახელით მოგილოცოთ თქვენი დაბადების 70 წლისთავი და გისურვოთ ყოველგვარი სიკეთე, ბედნიერება, მრავალჟამიერი სიცოცხლე, ახალი და ახალი შემოქმედებითი მიღწევები.

ქართველი ერი დიდად აფასებს თქვენი, როგორც პოეტის, მეცნიერის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწის ამაგს.

თქვენი შესანიშნავი ლექსები ხალხმა აიტაცა და სიმღერებად აქცია.

თქვენ მიეცით დასაბამი და ანეითარებთ ქართულ ფილოსოფიურ პოეზიას.

თქვენმა „პალესტინა პალესტინამ“ შორს გაგიტყვათ სახელი. თქვენი „გაბაასება შოთა რუსთაველთან“ პოეზიის შედევრია და თავისი შინაარსით უფრო მდიდარია, ვიდრე ჩახრუხადისეული ხოტბა-ელეგია მოგზაურ პოეტთან, მე

მაკონდება თქვენი დიდად მნიშვნელოვანი ლექსები, დაწერილი არ-  
მსტრონგის მიერ მთვარეზე ფეხის დადგმასთან დაკავშირებით.  
თქვენი „გული, ცნობა და გონება“ გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღ-  
ვრებს და მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

თქვენ ბატონო ირაკლი, არაერთხელ გითქვამთ, რომ „პოეზია  
სიბრძნისაა ერთი დარგი“. თქვენ მეცნიერებაშიც მტკიცედ გიდგათ  
ორივე ფეხი და დიდად მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეებით. საკმა-  
რისია დავასახელოთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ანდა  
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული დადგენა. თქვენი ღვაწლი  
ამ დარგში დაუფასებელია, უებრო და სამაგალითო. აკი ამბობენ სა-  
მართლიანად, რომ ხელოვნების და მეცნიერული აზროვნების შერ-  
წყმა სასწაულს ახდენსო.

თქვენ, ერის თავკაცმა, დიდი სამსახური გაუწიეთ ქართველ  
ხალხს შოთა რუსთაველის იუბილეს მაღალ ღონეზე ჩატარების  
მხრივ. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ქართულ კულტურას შავი ყორ-  
ნები დასწაოდნენ და საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება მისი  
გახეიტრალებისათვის. ვინ ჩამოთვლის რამდენი სიკეთე მიგიძღვით  
თქვენ, ქართველი ერის წინაშე. გისურვებთ მხნეობას და ახალ შემო-  
ქმედებით მიღწევებს. ჩუმაღ გეტყვით, მაგრამ ყველას გასაგონად,  
რომ ღმერთმა შეგაძლებინოთ, ჩვენი დროის შესაფერისი „ვეფხის-  
ტყაოსნის“ შექმნა.

იდიდოს თქვენმა შემოქმედებამ აწ და მარადის. ნება მიბოძეთ  
საქართველოს საისტორიო საზოგადოების და ლიაცისქვეშ მუზეუმის  
თანამშრომელთა შეხვედრა პოეტ-აკადემიკოსთან, შრომის გმირთან,  
მეცნიერთან, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწესთან,  
ბატონ ირაკლი აბაშიძესთან, გახსნილად გამოვაცხადო.

უკვლავი პერსონაჟი ჩვენი ისტორიისა

ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად გილოცაუთ თქვენ ახალ, მაღალ ჯილდოს — თბილისის საპატიო მოქალაქეობას, რომელიც ამ ორი დღის წინათ მოგენიჭათ. ერთი წლის წინათ ჩვენ ხალხს ჰქონდა ბედნიერება აღენიშნა თქვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე. ეს იყო ქართული პოეზიის დიდი სახალხო ზეიმი და მადლიერმა ხალხმა ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინით შეგამკოთ, საქართველოს უგვირგვინო მეფე გიწოდათ და ამით თქვენი შემოქმედება ქართველი პოშიროსის — სულმნათი აკაკის დონეზე დააყენა. მაშინდელი საიუბილეო ზეიმი და დღევანდელი ზეიმიც, რომელიც კონკრეტულად თბილისის საპატიო მოქალაქედ თქვენს არჩევას უკავშირდება, გამოხატულებაა რესპუბლიკის მესვეურებისა და ყველა მშრომელის მადლიერებისა იმ დაუღალავი და დიდად ნაყოფიერი შრომისათვის, რომელსაც თქვენ ნახევარ საუკუნეზე მეტია ეწევით არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ ქართული კულტურის ყველა სფეროში ჩვენი ერის სულიერი სავანძურის გასამდიდრებლად. თქვენი ცხოვრება და შემოქმედება სოციალისტური სა-

ქართველოს მატთანის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და საამაყო ფურცელია. თქვენს მაღალკადემიურ პოეზიაში სარკისებურადაა ასახული სოციალისტური საქართველოს განახლებისა და ზრდის ისტორია, მისი სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დროინდელი პერიოპტიები, მისი რიამანტიკა და ლირიკული ხვეულები, მისი ჯმუნვა და სიხარული. ამ დამსახურებათა გამო მოგენიჭათ თქვენ მაღალი წოდება სოციალისტური შრომის გმირისა. ამიტომ გახდით თქვენ თავად უკვდავი პერსონაჟი ჩვენი ისტორიისა.

ქართულ ლიტერატურაში იოანე ზოსიმეს შემდეგ არავის უთქვამს ისეთი მაღალი საგალობელი მშობლიური ენისა, როგორც თქვენ თქვით. ჩვენს დედა-ენას თქვენ მარადიული ხელთუქმნელი ძეგლი აღუმართეთ და სხვა რომ არაფერი შეგექმნათ, მარტო ესეც საკმარისია თქვენი უკვდავებისთვის. თქვენ გადმოეცით ყველაზე შთამბეჭდავად ფიქრი და იდეალები დიდი რუსთაველისა. მისი ნაკვალევის მხატვრულ-მეცნიერული გააზრებით განაზოგადეთ ქართული ადრინდელი რენესანსის მაღალი იდეალები და მსოფლიო მნიშვნელობა.

თქვენი ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმშვენიერესი ფურცელია რუსთაველის 800 წლისთავის იუბილე. ამ იუბილეს მაღალი ორგანიზაციის მთელმა სიმძიმემ თქვენს მხრებზე გადაიარა და იგი არა მარტო ქართული კულტურის, არამედ მსოფლიო კულტურის ზეიმად იქცა. ახლაც მოწოდებად ჟღერს იმ დღეებში თქვენი პუბლიცისტური ნააზრევი — რწმენის აღდგენის, რწმენის განმტკიცების შესახებ. თქვენ პირადად მუდამ ცდილობდით და ცდილობთ განუმტკიცოთ ქართველ ხალხს რწმენა სიამაყისა, რწმენა მომავლისა, რწმენა ეროვნულობისა და უკვდავებისა.

ახლა თქვენ მოთავეობთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას, რომელიც საქართველოს ისტორიისა და კულტურის, წარსულისა და თანამედროვეობის მეცნიერული განზოგადება, ყველაზე სრულყოფილი ასახვა და მონაპოვარია. ალბათ არავის შეეძლო ქართული ენციკლოპედიის ამაზე უკეთ, ამაზე უფრო მაღალ მეცნიერულ და ესთეტიურ დონეზე მომზადება და გამოცემა.

შეუძლებელია მოკლე სიტყვაში თქვენ დამსახურებათა ჩამოთვლა ცი. ამ დამსახურებაზე თავის დროზე სრულად იტყვის ჩვენი ისტორია.

ჩვენი სურვილია დიდხანს იცოცხლოთ თქვენ, დიდხანს გიზგიზებდეს ცეცხლი თქვენი მაღალი შემოქმედებისა და სწორედ თქვენ უთხრათ საგალობელი ახალ საუკუნეს როგორც ამ საუკუნის ყველაზე დიდმა კაცმა და ყველაზე ღირსეულმა მეკვლემ მისი მომავლისა.

## ლოგონოს სუმბაკე

### ერის ღირსეული შვილი

მუზეუმის თანამშრომელთა სახელით, ჩემი კოლეგების, ქართველი ხუროთმოძღვრების სახელით მხურვალედ მოგესალმებით, როგორც დიდ ქართველს, საქვეყნოდ განთქმულ პოეტსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი ხალხის სასი-ქადულო შვილს!

შემთხვევით როდია, რომ თქვენთან შეხვედრა მო-ეწყო აქ, ამ საეანეში, სადაც თავმოყრილია ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის, მისი ყოფის ბევრის მომსწრე და ბევრის მთქმელი ძეგლები. ქართული ხუროთ-მოძღვრული ხელოვნება ხომ პოეტურ შემოქმედებასთან ერთად იმ დარგს წარმოადგენს, რომელშიც უხეადაა გა-მოვლენილი ჩვენი ხალხის გენია!

კოლხური ნარნარა სვეტები თუ იბერიული მხრებგაშლი-ლი დედაბოძი, ჭაჭკარის და გიორგიწმინდის დარბა-ზოიანი თუ ყარაღაჯის დარბაზი, 452 პწკარისაგან აწყო-ბილი გვირგვინით, უშგულისა თუ შატილის კოშკოვანი ანსამბლები ისეთივე მარგალიტებია ქართული კულტუ-რისა, როგორც ლექსი თავფარავენელი ჭაბუკის სიყვარულ-ზე, ან ეპიკური ამბავი მოყმისა და ვეფხვის სიკვდილზე.



მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრებს მინდა გავახსენო ის ამბავიც, რომ პირველი მოცემულობა დაპროექტებისათვის ამ მუზეუმის დასაგეგმარებლად ხელმოწერილია ორი დიდი ქართველის მიერ: მას დასტური მისცა ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ და ღია ცის ქვეშა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ.

ეს მოხდა 15 წლის წინ, 1965 წელს. ერთი წლის შემდეგ კი ირაკლი აბაშიძე სათავეში ჩაუდგა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის უმძიმეს, და ჩვენი კულტურისათვის უმნიშვნელოვანეს საქმეს.

ამ ეროვნული საგანძურის უკვე გამოხული 4 ტომიც კი საქმარისია მისი მთავარი რედაქტორის ღვაწლის უკვდავსაყოფად!

მაგრამ, ირაკლი აბაშიძე უპირველეს ყოვლისა დიდი ქართველი პოეტია და ვერაფერი შეედრება მის იმ ნამაგვეს, რომელიც შეიტანა ქართული პოეზიის საგანძურში!

ბატონო ირაკლი! თქვენი პატარა ლექსი კაპიტან ბუხაიძეზე ქართველი ვაჟკაცის გმირობის უკვდავების საგალობლად იქცა! ლექსების ციკლი „პალესტინა-პალესტინა“ და მთელი ეპოპეა „რუსთაველის ნაკვალევზე“ თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური ზემთაგონებით მსოფლიო პოეზიის შედევრებს უტოლდება და მეტყველებს არა მარტო თქვენს დიდ პოეტურ ნიჭზე, არამედ ქართველი ერის, რომლის ღირსეული შვილიც თქვენ ბრძანდებით — დიდ შემოქმედებითს გენიანზე!

ჩვენი ხალხის რწმენით თავდაპირველი საცხოვრებლის დედაბოძი ცოცხალ, მიწაში ფესვებგადგმულ ხეში იყო გამოთლილი, ეს უზრუნველყოფდა მის სიმტკიცესა და ურყევობას; თქვენი პოეტური შემოქმედების დედაბოძს ქართველი ხალხის სულიერი სამყაროს სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული და ამიტომ იგი არასოდეს დატყნება!

გისურვებთ ჯანის სიმრთელეს და ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ!

## მ ა მ ი ა ლ უ მ ბ ა კ ე

### ქართული სალსის საფარული აოეზი

ირაკლი აბაშიძის პოეზიის უთვალავ მეხოტბებთან ერთად მეც ვულოცავ მას. — ქართველი ხალხის სათაყვანო პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს — დაბადების 70 წლისთავს. ხალხმა დიდი ხანია ამცნო რჩეულ მგოსანს თავისი სიყვარული. დამსახურებული ქებათა-ქების პათოსით ხასიათდება ჩვენი შეხვედრა მასთან დღესაც; ღია ცისქვეშ, შემოდგომის მზით გამთბარი მთის კალთებზე, საიდანაც ცის ტატნობამდე „ორი ნაბიჯია“... ტალანტები ზომ მიწისა და ცის ჰარმონიაში იშვებიან და ამიტომ პოეტთან შეხვედრის ეს ადგილიც სიმბოლურად მეჩვენება. — ბატონი ირაკლის მიერ განვლილი ღრმაშინაარსიანი ცხოვრებიდან არ შეიძლება არ გაეიხსენოთ სამამულო ომის მრისხანე წლები, ქართველი ვაჟკაცების ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის კავკასიონის მისადგომებთან. სწორედ იმ დროს იშვა ქართული პოეზიის მარგალიტი — „კაპიტანი ბუხაიძე“. ეს იყო მართლაც ზეციური შთაგონებით სრულქმნილი ჰიმნი, რომელიც მაშინ ყველას პირზე ეკერა. მართლაც, ერთჯერ წაიკითხავ ასეთ ლექსს და არასოდეს არ დაგავიწყდება. ამასთან დაკავ-

შარებით მინდა გაგახსენოთ პატარა ეპიზოდი დიდი ბეთჰოვენის ცხოვრებიდან.

მეზღვაურებთან ერთი შეხვედრისას ბეთჰოვენმა ჰკითხა მისი მუსიკით მოჯადოებულ მსმენელებს — რა მოგწონოთ ჩემს შემოქმედებაში? პასუხი ასეთი ყოფილა — არ ვიცი რა მოგვწონს, მაგრამ როცა თქვენს მუსიკას ვისმენთ, გმირული საქმისათვის ბრძოლის სურვილი გვეუფლებათ... ასეთივე ძალა და მნიშვნელობა აქვს ირაკლი აბაშიძის პატრიოტულ ლირიკასაც.

თავისი პოეტური სიბრძნით გაჟღენთილი ქმნილებებით („კაპიტანი ბუხაიძე“, ლექსების ციკლში: „მიახლოება“, „რუსთაველის ნაკვალევზე“, „პალესტინა, პალესტინა“ და სხვ.), ისევე, როგორც ფართო მასშტაბის საზოგადოებრივ — კულტურული მოღვაწეობით, ირაკლი აბაშიძემ საყოველთაო სიყვარული მოიხვეჭა, ხალხის გულში „აივო ძეგლი ხელთუქმნელი“.

ბატონი ირაკლი ნამდვილად სვებედნიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის. არა მარტო მაღალიდგური პოეტური სიტყვით, არამედ დიდბუნებოვანი პიროვნული თვისებებითაც ემსახურება იგი ერის სულიერი წრთობის საქმეს. უსაზღვროა მისი სიყვარული მშობლიური ხალხისადმი, საქართველოსადმი. ამიტომაც ხალხმა მას სიყვარულითვე უპასუხა და აღიარა იგი თავის ურჩეულეს მოღვაწეთა შორის. დამსახურების მიხედვით და ხალხის ნებითაც მიიღო მან უმაღლესი წოდებები — აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე, სოციალისტური შრომის გმირი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ერის თავკაცი...

დადის კაცური კაცი ქართლის გზებზე, ხვდება ხალხს პოეტი, მაღალი, ახოვანი, პირმშვენიერი და ჩაფიქრებული სამშობლოს აწმყოსა თუ მომავალზე; თან მოჰყვება სითბო ჰუმანიზმისა ცოცხალი პოეზიის დარად. როგორ უხდება თბილისის ქუჩებს მისი გამოჩენა!

ცოცხლობდეს დიდხანს, კიდევ უფრო დიდხანს ასე წელგამართული, ამაღარი, ყველასათვის საყვარელი პოეტი. ვუსურვოთ ბატონ ირაკლის კიდევ მრავალი შედეგით გაემდიდრებინოს ქართული მწერლობის იქროს ფონდი.

მ რ ი ს მ გ ო ს ა ნ ი

შიზნად არ ვისახავ წარმოეაჩინო ქართველი ერის წინაშე დიდი პროექტის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის — ირაკლი აბაშიძის მრავალმხრივი დამსახურება. ეს ჩემის მხრივ უთუოდ კადნიერება იქნებოდა. მე მოგაგონებთ დიდი მამულიშვილის მოღვაწეობიდან მხოლოდ ერთ ეპიზოდს. 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში, პარტიის ახალი პროგრამის მიღების წინ, მემარცხენე-ვულგარიზატორთა წყალობით, ხალხთა ეროვნული ცხოვრების ჰორიზონტზე აქა-იქ თავმოყრას იწყებდნენ შავი ღრუბლები — დასეტყვით ემუქრებოდნენ პოლიტიკურად უმწიფარი ადამიანები ეროვნულ ენებსა და ეროვნულ კულტურებს. მათ წინ აღუდგა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული მემკვიდრეობისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელმაც თავიდანვე დაინახა საფრთხე, ჩვენში ხალხთა მეგობრობასა და მთელ მსოფლიოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რომ მოელოდა. ამიტომ გასაგებია ის დიდი პოლიტიკური და ეროვნული რეზონანსი, რომელიც მოჰყვა ირაკლი აბაშიძის, ელა-

დიმერ სოლოუხინის, რასულ გამზათოვის და სხვათა გამოსვლას შემარცხენე-ვეულგარიზატორების წინააღმდეგ.

ირაკლი აბაშიძის გამოსვლიდან, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი პოეტური შედეგები — „ხმა კატამონთან“; იგი ქართული ენისა და ქართველი ერის უკვდავების მარად უჭკნობ პიზნად დარჩება ქართველი ხალხის ძირძველი კულტურის საგანძურში, ხოლო მისი ავტორი — ირაკლი აბაშიძე, ამაზე მეტი რომ არაფერი შეეკმნა, მაინც დაიმკვიდრებდა წმიდათაწმიდა ადგილს საქართველოს ეროვნულ გმირთა ვალერეაში.

ეროვნული კულტურის თავკაცთა პატრიოტული გამოსვლა ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. კომუნისტური პარტია, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ დარჩა ლენინური ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის ერთგული, რიედესაც თავის ახალ პროგრამაში შეიტანა ერებისა და ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების, მათი შემდგომი მძლავრი განვითარების მოთხოვნა.

მჯერა, ქართველ ერთან ერთად, რომ უკვდავი ბრძანდებით დიდი მკოსანო!

## მარიამ ლორთქიფანიძე

### წარსულის მემორალი

საქართველოს საისტორიო საზოგადოება ბ-ნ ირაკლი აბაშიძეს თბილისის საპატიო მოქალაქის მაღალი წოდების მინიჭებას რომ უღლიცავს, ამას, ირაკლი აბაშიძის როგორც პოეტისა და მოქალაქის მრავალ დამსახურებასთან ერთად, ერთი სრულიად კონკრეტული ფაქტორიც აპირობებს. ბ-ნი ირაკლი ბრძანდება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მომენტებისადმი მიძღვნილი არაერთი ბრწყინვალე ლირიკული ლექსისა და თბილისის შესახებ შესანიშნავი პოემის „რას გადაურჩა თბილისი“-ს ავტორი. მართალია თვით ავტორმა პოემა საყმაწვილო ლიტერატურად მიიჩნია, მაგრამ მან გამოხვლისთანავე გადალაზა „საყმაწვილო“ ფარგლები და ფართო მკითხველი საზოგადოების საყვარელ ნაწარმოებად იქცა. ისტორიულ თემაზე მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ასეთი ნაწარმოების შექმნა მწერლობის მაღალი ნიჭით დაჯილდოვებასთან ერთად ისტორიის კარგ ცოდნასა და ისტორიული პროცესის გაგებას მოითხოვს, რაც არც ისე ადვილი და მარტივია როგორც ზოგსა ჰგონია. განსაკუთრებით

ძნელია მხატვრული ნაწარმოების შექმნა, და ისიც ლექსად, თბილისის მდიდარ, მძიმე ისტორიაზე.

ისტორიულ თემაზე დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებთა ერთი ნაწილი ისტორიაში სცოდავს, ზოგ ავტორს სწორად ვერ გაუვია რთული ისტორიული პროცესი და საკუთარ „ორიგინალურ თვალსაზრისს“ ვეთავაზობს მხატვრულ ნაწარმოებში, ნაწილი — ისტორიას სწორად გადმოსცემს, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებს „მხატვრულობა“ აქვს დაკარგული და ისტორიული ქრონიკის სახეს ატარებს.

ირაკლი აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი“ ორივე ამ უკიდურესობას გადაურჩა. ამ პოემაში შესანიშნავ მხატვრულ ფორმაში, დახვეწილად, შეიძლება ითქვას, დაწურულადაა წარმოდგენილი ჩვენი დედაქალაქის მდიდარი, რთული, მძიმე ისტორია. რაც მთავარია, ავტორს სწორად აქვს გააზრებული და წარმოჩენილი თბილისის ისტორიული განვითარების ძირითადი მიმართულება.

თბილისის ისტორიული წარსული ავტორისათვის არის ქარგა, საფუძველი, რაც აძლევს მას მდიდარ მასალას მაღალი შემოქმედებისათვის.

ამ შესანიშნავ პოემაში მაღალმხატვრულ ფორმაშია ჩამოძვრილი თუ მართლაც რას გადაურჩა ჩვენი დედაქალაქი, და მასთან ერთად რას გადურჩა ჩვენი ხალხი, როგორ გამოატარა გმირმა ქართველმა ხალხმა თავისი ენა, კულტურა, შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა, მთელი თავისი ისტორია, უმძიმეს ქართველობებში და ისტორიულ ვითარებაში. შემოქმედება ამ ნაწარმოებისა იმიტომაა ძლიერი, რომ წინაპართა სისხლით დაწერილი მთელი ეს ისტორია მაღალმხატვრული ფორმითაა გადმოცემული და მიუხედავად მძიმე სიუჟეტისა, ლაღად და თავისუფლად იკითხება.

ჩვენი ბავშვები, ვინც პოემას კითხულობენ, კარგად განიცდიან და იაზრებენ თავისი ქვეყნის დიდ წარსულს. პოემა მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული, ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულ სახელოვან თუ უსახელო გმირთა სადიდებელია.

ვისურვებდი, რომ ბ-მა ირაკიმ კიდეე შექმნას ასეთი ნაწარმოები ყმაწვილთათვის.

ვისურვებდი, რომ ეს პოემა ხშირად გამოიცეს ცალკე წიგნად, კარგად გაფორმებული, დასურათებული. ეს საჭიროა ჩვენი ბავშვებისათვის და ჩვენთვისაც.

ბ-ნ ირაკლი აბაშიძეს ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, რათა მას თავისი შემოქმედებით, კიდეე გაემდიდრებინოს მშობლიური ლიტერატურა.

მკლავრი, მომსიგვლელი ტალანტი

პატივცემულო ამხანაგებო! საიუბილეო, ქრესტომატული სიტყვიერი ქარგა როგორღაც არ ეხამება ამ გასაოცარ, სრულიად უნიკალურ პიროვნებას და მის შემოქმედებას, რომელიც გამოხატავს ირაკლი აბაშიძის მაღალი ტალანტის განუმეორებელ, ყოვლისმომცველ, და ნუ მოგეჩვენებათ პარადოქსად, თითქმის დამთრგუნველ მომხიბვლელობას. მე გამიჭირდება ტრადიციული, კანონიკური საიუბილეო სიტყვის წარმოთქმა, ისეთი სიტყვისა, სადაც იქნებოდა თავმოყრილი ამგვარი გამოსვლებისათვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი: პოეტის შემოქმედების დახასიათება, მისი პერიოდიზაცია, ნაწარმოებთა თემატიკის განხილვა, სტილის თავისებურების ანალიზი, ყველა იმ დიდებული საქმეების აღრიცხვა, რაც ირაკლი აბაშიძემ მოიმოქმედა მშობლიური ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის საკეთილდღეოდ. გამიჭირდება არა იმიტომ, რომ არა მაქვს ხელთ საკმაო მასალა ან სურვილი საკადრისად შევამკო ჩვენი სახელოვანი იუბილარი. ეს სიძნელე განპირობებულია იმით, რომ თითქმის საუკუნის მეოთხედი მიხლებოდა უმჭიდროვესი თანამშრომლობა ირაკლი აბაშიძესთან და ამ ხნის მანძილზე ყოველთვის



ვიყავი აბაშიძისეული მომხიბვლელობის ურღვევი მარწუხების ტყვე, მაშინაც კი, როცა მიხდებოდა მასთან დავა.

მე ვიყავი ირაკლი აბაშიძის გვერდით ლიტერატურული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას, ქართული ეროვნული კულტურის დიდი დღესასწაულების მომზადებასა და ჩატარებისას (დაუვიწყარი იუბილეები რუსთაველის, ბარათაშვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის), სხვადასხვა პარტიულ და საბჭოთა ფორუმებზე, მაღალი უცხოელი სტუმრების მიღებაზე, საზღვარგარეთულ მგზავრობებში, ნადირობაზე. და ყოველთვის მიკვირდა, უფრო ზუსტად რომ ვსთქვათ, მალფრთოვანებდა, როგორი შინაგანი ღრმა ტაქტიკით, შესაშური ღირსეული სისადავით, ერთდროულად ბრძნულად და მსუბუქად (ამ სიტყვის კარგი გაგებით) უძღვებოდა ირაკლი აბაშიძე თავის მრავალრიცხოვან და რთულ მოვალეობებს, ყველაფერს იმას, რაც დაკავშირებული იყო მის განსაკუთრებულ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მდგომარეობასთან.

ჩემის აზრით, ამ აბაშიძისეული ფენომენის საიდუმლო იგივეა, რაც მისი შემოქმედების ახსნის გასაღები — ჭეშმარიტი ხალხურობისა და დახვეწილი ინტელიგენტობის ორგანული დუღაბი.

ირაკლი აბაშიძე ხალხურია არა მხოლოდ და არა იმდენად ფოლკლორული თვალსაზრისით, არამედ ამ ცნების უნივერსალური, განმაზოგადებელი გაგებით.

ხალხი ერთდროულად მრავალსახოვანი და ერთიანია თავისი გამოკლინებით. ლიტერატურა და ხელოვნება იცნობს ბევრ შემოქმედს, რომლის სახელი ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის, მაგრამ ყველას როდი ხვდა წილად გამოხატოს შემოქმედებაში და პიროვნებითაც თავისი ხალხის საუკეთესო თვისებები, შექმნას ის სიმღერა, რომელსაც ხალხი თავისიველად აღიარებს. ირაკლი აბაშიძეს წილად ჰვდა სწორედ ასეთი სიმღერის თქმა.

სიცოცხლის მძიმე წუთებში ყოველთვის იგონებ ყველაზე უფრო ფაქიზსა და სანუკვარს. დიდი სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაცემულმა შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა ოცდაერთი წლის გიორგი ნაფეტვარიძემ სანგარში, ქვემეხების გამაყრუებელ კანონადის დროს გაიხსენა ირაკლი აბაშიძის სტრიქონები:

„მე გამოველ პირველ თოვლში განთიადზე  
და ვეძებდი შენს პატარა ჩაფიხურებს...“

ვფიქრობ, ვიდრე საქართველოში ერთი შეყვარებული მაინც დარჩება, ამ სტრიქონებს დავიწყება არ უწერიათ. და რა იცოდა მტრის ტყვეობით განგმირულმა ჭაბუკმა პოეტმა, რომ სულ რამოდენიმე დღის შემდეგ ირაკლი აბაშიძე შექმნის თავის უკვდავ „კაპიტან ბუხაიძეს“. ორიოდვე წლის წინათ ქართველი მეცნიერების ჯგუფის შემადგენლო-

ბაში ირაკლი აბაშიძემ და მე ვიმოგზაურეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მოვინახულეთ ერთ-ერთი ყოფილი საკონსტრუქციო ბანკი და ყვაილებით შევაძვეთ ფაშიზმის მსხვერპლთა მემორიალი. როცა ავტობუსში ჩავსხედით და ადგილიდან დავიძარიეთ, ირაკლი აბაშიძემ გამიართვა გიღს მიკროფონი და აღვლევბული, მოცახცახე ხმით წაიკითხა თავისი შედეერი. მე მრავალჯერ მომისმენია, თუ როგორ კითხულობს პატიეცემული ირაკლი თავის ლექსებს, მომწონს მისი კითხვის მანერა, მისი ოდნავ ყრუ, მაგრამ ინტონაციებით მდიდარი ხმა. მაგრამ ამჯერად მისი წაკითხვა სულ სხვა იყო. მრისხანება, სიამაყე, სეედა, სიხარული, ყველაფერი ეს ერთ პოეტურ ამოსუნთქვაში იყო შედულაბებული.

„ძალიან მომინდა ამ ლექსის წაკითხვა სწორედ აქ, ამ მხარეში“ — თქვა ირაკლიმ მცირე პაუზის შემდეგ, როცა ლექსის კითხვა დაამთავრა.

ირაკლი აბაშიძე დიდოსტატია მონუმენტური პოეტური სიურპრიზებისა. მისი ლექსების რკალი რუსთაველის შესახებ უდიდესი მოვლენაა მთელს თანამედროვე ლიტერატურაში. ვინც კარგად იცნობს ირაკლი აბაშიძის წერის მანერას, მის პოეტურ აზროვნებას, მათთვის რაღა თქმა უნდა მოულოდნელი იყო „პალესტინა, პალესტინა!“ თავისთავად უთამამესი იდეა წარმართის პოეტური მონოლოგი თვით რუსთაველის სახელით.

პირადად მე ვფიქრობ, რომ ლექსთა ეს ციკლი (მისი ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი მომავლის საქმეა), მთლიანად მიძღვნილია თანამედროვეობისადმი, დღევანდლობის უმწვავეს საკითხებს ეხება. იგი ეძღვნება ადამიანის რწმენის და ღირსების პრობლემებს, ამტკიცებს მაღალ, კეთილშობილურ იდეალებს, უარყოფს ეროვნულ ნიჰილიზმს, ქადაგებს მშობლიური კულტურის უკვდავებას.

ეს ახალი პოეტური რკალი ირაკლი აბაშიძისა უნიკალურია შინაარსითაც და ფორმითაც. იგი წარმოადგენს ღირიკისა და ფილოსოფიის ორგანიულ დულაბს, პოეტური აღმაფრენისა და ღრმა აზროვნების კავშირს. და ყველაფერი ეს გამოკვეთილია დიდოსტატის საჭრეთელით, დიდოსტატისა, რომელმაც შეძენილ სიბრძნეს შენარჩუნებული ახალგაზრდული შემართება შეაუღლა. სხვათა შორის, ბატონმა ირაკლიმ თავისი „პალესტინით“ ჩვენ, ისტორიკოსებს, კარგი მაგალითი მოგვცა იმ მიმართულებით, თუ როგორ შეიძლება უნარიანად გამოიყენო ისტორიული მასალა თანამედროვეობის პრობლემების გადასაჭრელად.

და უკანასკნელი, რაც მინდა ვთქვა, შეეხება ირაკლი აბაშიძის იუმორს, რომლის გარეშე შეუძლებელია გქონდეს სრული წარმოდგენა ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე.

მისი იუმორი არაერთგვაროვანია, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას,

დიფერენცირებულია. მეგობართა წრეში ეს იუმორი რბილია, კეთილი, თითქმის ალერსიანი. მაგრამ პოეტმა დაუსადგურა სატირული, გამანადგურებელი იუმორის „ღმერთსაც“ და როცა ეს „ღმერთი“ იღვიძებს, მაშინ მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ის, ვის წინააღმდეგაც მიმართულია ჩვენი იუბილარის ზუსტი-გროტესკული შეფასებები.

დაბოლოს მინდა ვუსურვო ირაკლი აბაშიძეს..., მაგრამ რა უნდა ვუსურვო მას? ამის ჩამოყალიბება ერთობ ძნელია, მან გააკეთა მთავარი და მიიღო მთავარი — საერთო სახალხო აღიარება და სიყვარული. იცოცხლოს დიდხანს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, იმ ხალხისა, რომლის სული ასე ღრმად და ლამაზად გამოხატა თავის უკვდავ შემოქმედებაში.

ქ ლ ე ვ ა ჯ

რა იქნებოდა ცივილიზაციის, კულტურის ისტორია, რომ ეს ისტორია უსასრულოდ სწორ, ზომიერად გაშლილ ტრამპლს ჰგავდეს და ამ სწორი უსასრულობის ზედაპირზე აქა-იქ ცაღაზიდულნი, ცაში ავარდნილნი არ იყვნენ მწვერვალები... ჭეშმარიტი სიტყვებია და თამამად შეიძლება მის ავტორსაც მიუდგეს. დიახ, ეს სიტყვები უპრიანია ირაკლი აბაშიძის მიმართ, რომელიც უკანასკნელი ორმოცდაათწლეულის მანძილზე მედგრად დგას ქართული პოეზიის დიდ სამსახურში და უკანასკნელი ორმოცწლეულის მთელ სიგრძეზე უღალატოდ ემსახურება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ბოლო ორმოცი-ორმოცდაათი წლის მანძილზე არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ირაკლი აბაშიძეს რომ თავისი დიდი სიტყვა არ ეთქვას. ჯერ კიდევ 1934 წელს მწერალთა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობის მონაწილე ოცდახუთიოდე წლის პოეტი წერს ლექსს „რუსთველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“. ეს არ არის უბრალო შთაბეჭდილებით დაწერილი ლექსი. ეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში კულტურულ ფასეულობათა ახლებურად, მართებულად დანახვით აღფრთოვანებული პოეტის ამაყი სიტყვაა. ამაყი თავისი დიდი წინაპრის გამოჩენით ესოდენ დიდ ყრილობაზე; წინა-

პრისა, რომელმაც კავშირთა სახლის „ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი“. ეს შეიდასი წლის შემდეგ რუსთველის ხელახალი ამოძახება იყო, ხელახალი დიდი აღიარება იყო.

ორმოციანი წლები ახალი ძვრებით აღნიშნა ჩვენი საუკუნის მსოფლიომ. ამ პერიოდში ყველაზე მრისხანე და საშინელი დიდი სამამულო ომი იყო. ირაკლი აბაშიძე ფრონტის წინა ხაზზეა ყოველთვის და თავისი ბრწყინვალე ლექსებით აღაფრთოვანებს მებრძოლებს:

„ქართველებო. ევაფოთ მტერო,  
როგორც წინათ სკრეს და ჰაფეს“.

ორმოცდაათიან წლებში საბჭოთა ქვეყნის აღორძინებას უმღერა პოეტმა. იგი აღფრთოვანებით შეხვდა მრავალი წლის მანძილზე მიჩქმალული მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის დიდი სახელების კვლავ გამოჩენას (იგი ხომ თითონაც თავგამოდებით იბრძოდა ამისთვის).

სამოციანი წლები, თუ კი საერთოდ შეიძლება შეადარო სხვადასხვა პერიოდები, ყველაზე ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია ირაკლი აბაშიძის, როგორც შემოქმედისა და მოღვაწის ცხოვრებაში. ესაა პერიოდი იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციისა, რომლის თაოსანი და მონაწილე თვითონ ირაკლი აბაშიძე იყო და რომელმაც ბევრი საინტერესო ფაქტი მოგვცა; მოგვცა შოთა რუსთველის სურათიც; ესაა პერიოდი რუსთველის რეაასწლოვანი იუბილისა, ჩვენმა რესპუბლიკამ რომ გადაიხადა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, იუბილისა, რომლის ერთ-ერთი ჭეშმარიტი შემოქმედი, მისი მაღალ დონეზე ჩატარების ორგანიზატორი ირაკლი აბაშიძე იყო.

სამოცდაათიანი წლები პოეტის ცხოვრებაში ახალი შემოქმედებითი ძვრებითა და ძიებებით აღინიშნა (ასეა! რაგინდ ტრაფარეტული არ იყოს ეს სიტყვები). იგი კვლავ ძველებური სიყვარულით, ვაჟკაცური შემართებით, გაზრდილი ჭაბუკური ენერგიით უმღერის ყოველივეს ახალს და მნიშვნელოვანს, აყვავებულ კოლხეთსა და დიდ აღმშენებლობებს:

„ყველა სიახლეს, ყველა სიყრმეს,  
ყველა სანატრელს  
მე კვლავ შევხარო,  
კვლავ ედარაჯობ,  
კვლავ არ ვლაღობ,  
მხოლოდ უმაღლესს,  
მხოლოდ უღრმესს  
და უღამაზესს,  
ვმსახურებ კვლავაც  
უღალატოდ  
უშელავათოდ“.

სწორედ ამ სამოცდაათიან წლებში აღსრულდა ქართველი ხალხის ძველთაძველი ოცნება ერის საგანძურის — ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემისა. გასული საუკუნის 60-იან წლებში დიდი ილია ამაოდ იღვწოდა ენციკლოპედიის შექმნისათვის. ეს ოცნება აუსრულებელი დარჩათ ჩვენი საუკუნის პირველი ორმოცდაათწლეულის ქართველ მოღვაწეებსაც (დიდი იყო ამ საქმისადმი ზრუნვა ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა). პარტიისა და მთავრობის განუხრელმა ზრუნვამ, ქართული მეცნიერების მაღალმა დონემ ჩვენს დღეებში გახადა შესაძლებელი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა, ენციკლოპედიისა, რომლის მეთავე, მისი მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძეა. ალბათ ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საქმე სწორედ ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის შექმნაა. იგი მაჩვენებელია ჩვენი მეცნიერების დიდი სიმწიფისა, ჩვენი მეცნიერებათა აკადემიისა და მისი ისტემის ინსტიტუტ-ლაბორატორიათა მაღალგანვითარებულობისა. დიახ, ეს ასეა, და დღეს სწორედ ამ ეროვნული საგანძურის შექმნაში დამაშვრალს ვხედავთ პოეტსა და მოღვაწეს, აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს.

ირაკლი აბაშიძე დიდი თაყვანისმცემელია ჩვენი ხალხის წარსულისა, მისი დიდი წინაპრებისა, გარდასულ დიდებათა შემორჩენილი ძეგლებისა, ერთი სიტყვით, მოთაყვანეა ჩვენი ისტორიისა. მაგრამ იგი უპირველეს ყოვლისა დღევანდელით ცხოვრობს, დღევანდელით სუნთქავს, ფიქრობს ზეაღინდელ დღეზე, უფრო ნათელ და უფრო ლამაზ მომავალზე. იგი ჭაბუკია თავისი ბუნებით (მეგობრებიც ხომ ახალგაზრდები ჰყავს ძირითადად), ჭაბუკია თავისი შემოქმედებით, შემოქმედებით, რომელსაც რწმენის დიდი სული უღვას, ქვეყნის სამსახურის დიდი დალი აზის. უფრო მეტს პოეტი და მოღვაწე მომავალში გეპირდება, უფრო დიდსა და ნათელს მის შემოქმედებაში მომავალი ჰქვია:

„მეხო, შენი ჰქეა, რისხვა  
 მეხოზა,  
 არ დამთანხმდე, ოდეს გოთხრა:  
 — მეყოფა“.

„გეყოფას“ თქმამდე ჯერ კიდევ ძალზე ბევრია. ეს ბევრი კი სიკეთეა, სიყვარულია, სიხარულია, სიბრძნეა, შემართება და ვაჟკაცობაა, დაწურული სტრიქონია, დიდი ლელვაა, დიდი გამარჯვებაა. მისი ცხოვრების გზაც ხომ სირთულეებთან ერთად გამარჯვებებითაა აღსავსე.

მაშ დიდი სიყვარული ვუთხრათ ქედის მოხრით მაღლიერმა თანამემამულეებმა პოეტსა და მოღვაწეს, მეგობარსა და ერისკაცს, სამოცდაათი წლის ირაკლი აბაშიძეს. ვუთხრათ ძველი ქართული ლამაზი და კეთილი სიტყვა — ძ ლ ე ვ ა მ.

ერის სახელმწიფო მემორიალი

ქართველმა ხალხმა თავის სახელოვან მემორიალითა შორის საუკუნოდ საპატიო ადგილი არაერთ მწერალს მიუჩინა. ირაკლი აბაშიძემ ეს სასიქადულო პატივი მისთვის ასე დამახასიათებელ ქართული პოეტური მადლის ზენიტთან მიახლოვების უამს მოიპოვა და ამითაც გამოირჩა იგი სახელოვან მამულაშვილთა გუნდში.

ერისკაცობის ასეთი დიდება მხოლოდ რჩეულთაგან რჩეულთ ღირსებით, თანაც, მხოლოდ მამულისა და მამულაშვილობის წინაშე საგანგებო სამსახურის გამო და რარიგ საამაყო, რომ ბატონი ირაკლი ზედმიწევნით აკმაყოფილებს თავისი ხალხის ასე მაღალ მოთხოვნას: მისი შემოქმედება ასახავს ქართველი კაცის ცხოვრებას; ცხოვრებას ჩვენი დროის დიდი პოეტის თანამედროვისა, ათასწლოვანი სიბრძნითმოსილი ქართველი კაცის მადლიანი მარჯვენა რომ აწრთობდა; ცხოვრებას შრომითი დიდების შარავანდელით მოსილი ქართველისა, რომელიც გულმოდგინედ ჭედს თავისი ქვეყნის სახელოვან სოციალისტურ აწმყოს და ხალიბურ რკინისებრ სალ საძირკველს უყრის მომავალს; ცხოვრებას ქართველი რაინდებისა, ქვეყნის დიდებისათვის რომ ეცემოდნენ უთანასწორო ბრძოლაში და მაინც მზად იყვნენ წამოეწიათ თავიანთი დევგმირული მხრები, რათა ხელმეორედ შეეწირათ სიცოცხლე მამულისათვის; ცხოვრებას ერის იმედისა და

მომავლის, დიდ წინაპართა ღირსეული ცვლისა და მემკვიდრეებისა; ცხოვრებას ქართველი ხალხის, საქართველოსა და მარად ჭაბუკი თბილისისა, რომელიც თუ რას გადაურჩა, ყველაზე უკეთ ბატონმა ირაკლიმ უწყის.

მე, შემთხვევით როდი ვახსენებდი ხშირად „ცხოვრებას“. ამ სიტყვით, მხოლოდ ამით, გამოითქმოდა ქართულად ის, რასაც ახლა „ისტორია“ ეთქმის. რაკი ეს ასეა, ბატონმა ირაკლიმ, ქართველი ხალხის ცხოვრების უბადლო მესაიდუმლემ, ერის სახელოვან მენისტორიედ აღიარებაც პპოვოს მადლია ქართული.

ბატონო ირაკლი! აქ ითქვა, კარგად ითქვა, დიდი სიმართლე: — მარადიული, ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგაო ირაკლი აბაშიძემ ჩვენს დედაენას და სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ეს იკმარებდაო თქვენი სახელის უკვდაუსაყოფად. ეს დიდი სიმართლე სწამს ქართველ ხალხს, მაგრამ მან კიდევ ბევრი სხვა სიკეთე იცის თქვენი. რომელი ერთი უნდა შეგახსენოთ დღეს — ქართული ენციკლოპედია — სარკე ერის სახელოვანი ისტორიისა, მისი მრავალმხრივ უნიკალური ქართული კულტურისა, ახალი ქართლის ცხოვრებისა, თუ რუსთაველის ნაკვალევი ან თქვენი საყვარელი ქართული არქეოლოგია, რომლის განვითარება ასე ახლოს არის თქვენ გულთან და ყოველთვის სარგებლობს თქვენი მხარდაჭერით, მამულიშვილური მზრუნველობით.

სხვა დიდებასთან ერთად საისტორიო საზოგადოებამ დღეს თქვენ ერთხმად აჯიროჩათ თავის საპატიო წევრად, თანაც, უაღრესად სათქვენო გარემოცვაში—ძველი ქართული დედაბოძების, სვანური კოშკების, აფხაზურ, აჭარულ, გურულ, მეგრულ, იმერულ, კახურ, სამცხე-ჯავახურ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა თავყრილობაზე — აქ, — „მცირე საქართველოს“ მიწაწყალზე.

საქართველოს საისტორიო საზოგადოებას თავის საპატიო წევრთა შორის — მშობლიური ენის უბადლო მსახურთა — აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავასთან ერთად, ამიერიდან ეყოლება დიდი ქართველი პოეტი, ერის სახელოვანი მეისტორიე ირაკლი აბაშიძე.

ნება მომეცით საქართველოს საისტორიო საზოგადოების სახელით გულითადად მიუვლოცო ბატონ ირაკლი აბაშიძეს ეს, კიდევ ერთი აღიარება ნიჭისა, ერის სამსახურისა და საერთო სახალხო სიყვარულისა. ამასთანავე, მადლობა მოვახსენო ბატონ ირაკლის იმისათვის, რომ მობრძანდა ჩვენს საზეიმო თავყრილობაზე და ამ ისტორიული აქტის მონაწილეთა სახელი შეგვმატა.

საქართველოს საისტორიო საზოგადოების გადაწყვეტილებით პოეტი აკადემიკოსი ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე ცხადდება საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად.



# ს ა რ ნ ი მ ე ნ ი

გ ი ო რ გ ი ჩ ი ტ ა ი ა შესავალი სიტყვა	3
ა კ ა კ ი ს უ რ გ უ ლ ა ძ ე უკვლავი პერსონაჟი ჩვენი ისტორიისა	5
ლ ო ნ ვ ი ნ ო ზ ს უ მ ბ ა ძ ე ერის ღირსეული შვილი	7
მ ა მ ი ა ღ უ მ ბ ა ძ ე ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი	9
ი უ რ ი კ ა ჭ ა რ ა ვ ა ერის მგოსანი	11
მ ა რ ი ა მ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე წარსულის მომღერალი	13
ღ ე ვ ი ს ტ უ რ უ ა მძლავრი, მომხიბლავი ტალანტი	15
რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ძლევამ	19
ა ნ ღ რ ი ა ა ფ ა ქ ი ძ ე ერის სახელოვანი მეისტორიე	22

Ираклий Абашидзе  
в историческом обществе Грузин  
(На грузинском языке)  
«Мецниереба», Тбилиси, 1981

გადაეცა წარმოებას 9/XI-81 წ. ხელმოწერილია და-  
საბეჭდად 15/XI-81 წ. საბეჭდი ქალაქი № 1,  
60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 1, 39, საღე-  
ბავ-გატარება 1,62, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბა-  
ხი 1,12, ტირაჟი 5000. შეკვ. № 1580 ფასი 10 კაპ.  
უე 01-15079

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახკომის  
სტამბა № 12, თბილისი, უმანგი ჩხეიძის ქ. № 8.  
Типография № 12, Госкомиздата Совета Мини-  
стров СССР.. Тбилиси, ул. У. Чхеидзе № 8.